

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში



19 ივლისი, 2017 წელი

სარჩევი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები	4
სისხლისსამართლებრივი დევნა	4
სრულწლოვანთა განრიდება	8
აღკვეთის ღონისძიებები	8
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა	14
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	19
პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო	31
გამოძიების დაწყება	31
სისხლისსამართლებრივი დევნა	33
განაჩენები	35
საჯარო მოხელეების მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა	36
იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება	38
ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა	39
ოჯახური დანაშაული	39
ნარკოტიკული დანაშაული	42
დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული	48
არასათანადო მოპყრობა	50
ტრეფიკინგი	51
ტერორიზმი	52
ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა	53
პროკურორთა შეფასების სისტემა	55
გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება	56
კვლევები	59
გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები	60
ეთიკის კოდექსი	61
საკონსულტაციო საბჭო	62
პროკურატურის ადამიანური რესურსები	63

საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	63
საჯარო ინფორმაციის გაცემა.....	63
მოქალაქეთა მიღების ელექტრონული პროგრამა.....	65
მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.....	65
პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“	66
ადგილობრივი საბჭო.....	68
ბრიფინგები და განცხადებები.....	68
წიგნი „პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“	68
სამომავლო გეგმები.....	69


საქართველოს პროკურატურაში 2016 წელს და 2017 წლის პირველ ექვს თვეში განხორციელდა პროკურატურის სისტემის განვითარებისკენ მიმართული არაერთი ღონისძიება: დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, ეთიკის კოდექსი და პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები; შემუშავდა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები; გადაიდგა ნაბიჯები სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სრულყოფის მიზნით; დაინერგა ახალი სასწავლო პროგრამები; ჩატარდა არაერთი მასშტაბური პრევენციული ღონისძიება და დაიგეგმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა. პროგრესი იქნა მიღწეული ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა


2016 წელს საქართველოს პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 085 პირის, ხოლო 2017 წლის ექვს თვეში - 8277 პირის (სრულწლოვნები და არასრულწლოვნები) მიმართ. იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის ექვს თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო 8453 პირის მიმართ და 2017 წლის ექვს თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი შემცირებულია 176 ერთეულით, შეიძლება ითქვას, რომ 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი




2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა შემდეგ დანაშაულებზე: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი (ქურდობა) - 19.5%, 260-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) - 11.5%, 273-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) - 11.3%, 125-ე მუხლი (ცემა) - 6.1%, 126¹ მუხლი (ოჯახში ძალადობა) - 4.7%.

**მუხლები, რომლებითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი
დევნა
(2016 წელი)**



2017 წლის პირველ ექვს თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 260-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

მუხლები, რომლებითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა
(2017 წლის 6 თვე)




სრულწლოვანთა განრიდება

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება კვლავ პროკურატურის პრიორიტეტია. განრიდება ძირითადად გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმის გარემოებები და ბრალდებულის პიროვნება იძლევა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ლიბერალური მიდგომის შესაძლებლობას.

2016 წელს და 2017 წლის ექვს თვეში, სრულწლოვანი (21 წლის ზემოთ ასაკის) პირების მიმართ, განრიდება ძირითადად გამოყენებული იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე. 2016 წელს განრიდებულთა 97%-ს, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში განრიდებულთა 96%-ს ჩადენილი ჰქონდა სწორედ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული.

სრულწლოვანი განრიდებულების რაოდენობა




აღკვეთის ღონისძიებები

ბოლო წლებში შემცირებულია დევნადაწყვებული პირების მიმართ როგორც პატიმრობის, ასევე სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის მაჩვენებელი. 2009 წელს პროკურორთა მიერ პატიმრობის შეფარდება მოთხოვნილი იქნა დევნადაწყვებულ პირთა 43.6%-ის მიმართ, 2010 წელს - 40%-ის, 2011 წელს - 37.5%-ის, 2012 წელს - 35.1%-ის, 2013 წელს - 25.3%-ის,

2014 წელს - 34.2%-ის, 2015 წელს - 33.1%-ის, 2016 წელს - 30%-ის, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში 25.3%-ის მიმართ.¹

პროკურორის მიერ მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო ალკვეთის ღონისძიებები




როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკის პროცენტული მაჩვენებლები ცხადყოფს, პროკურორთა მიერ ყველა დევნადაწყვებული პირის მიმართ არ ხდება ალკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნა შემდეგ მიზეზთა გამო: ნაწილთან პირველი წარდგენის სხდომაზე ფორმდება საპროცესო შეთანხმება, ხოლო ნაწილის მიმართ არ არსებობს ალკვეთის ღონისძიების მოთხოვნის საპროცესო საფუძველი (2016 წელს დევნადაწყვებულ პირთა 67.9%-ის მიმართ იქნა მოთხოვნილი ალკვეთის ღონისძიების შეფარდება, ხოლო 2017 წლის 6 თვეში - 58.8%-ის მიმართ).

ბოლო წლებში შემცირებულია დევნადაწყვებული პირების მიმართ საპატიმრო გირაოს მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელიც.²

¹ გრაფიკში პატიმრობისა და არასაპატიმრო ალკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია დევნადაწყვებულ პირთაგან.

² გრაფიკში საპატიმრო გირაოს მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი გამოთვლილია დევნადაწყვებულ პირთაგან.

პროკურორების მიერ მოთხოვნილი საპატიმრო გირაოს მაჩვენებელი




რაც შეეხება სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელს, 2009 წელს პატიმრობა შეეფარდა ბრალდებულთა 50.9%-ს, 2010 წელს - 54.8%-ს, 2011 წელს - 49.6%-ს, 2012 წელს - 41.9%-ს, 2013 წელს - 27.9%-ს, 2014 წელს - 32.2%-ს, 2015 წელს - 30%-ს, 2016 წელს - 29.1%-ს, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 32.2%-ს.³

³ პატიმრობის პრიცენტული მაჩვენებელი გამოთვლილია მხოლოდ იმ ბრალდებულთაგან, რომლებსაც შეეფარდათ აღკვეთის ღონისძიება.


სასამართლოს მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელი

■ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ■ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება



ზემოაღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, რომ თითქოს 2017 წელს მომატებულია პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი, თუმცა ქვემოთ მოცემული გრაფიკი ცხადყოფს, რომ პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნის შემცირების პარალელურად, ბოლო წლებში შემცირებულია სასამართლოს მიერ პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელიც, თუ მას დევნადაწყვებული პირების საერთო რაოდენობასთან თანაფარდობით განვიხილავთ. კერძოდ, 2009 წელს პატიმრობა შეეფარდა დევნადაწყვებულ პირთა 41%-ს, 2010 წელს - 39.7%-ს, 2011 წელს - 37.5%-ს, 2012 წელს - 34%-ს, 2013 წელს - 18.2%-ს, 2014 წელს - 22.6%-ს, 2015 წელს - 20.6%-ს, 2016 წელს - 19.2%-ს, ხოლო 2017 წლის 6 თვეში - 18.5%-ს.


სასამართლოს მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ლონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი



პროკურორების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2011 წლებში სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია პროკურორთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების 99%-ზე მეტი, 2012

წელს - 98.3%, 2013 წელს - 85.6%, 2014 წელს - 77.1%, 2015 წელს - 72.7%, 2016 წელს - 73.5%, 2017 წლის პირველ 6 თვეში - 82.2%.⁴

პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი




რაც შეეხება პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2009-2011 წლებში სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების 99%-ზე მეტი, 2012 წელს - 96.9%, 2013 წელს - 73.4%, 2014 წელს - 67%, 2015 წელს - 63.2%, 2016 წელს - 64%, 2017 წლის პირველ 6 თვეში - 73.1%.

⁴ სრულად დაკმაყოფილებულ შუამდგომლობებში ჩათვლილია ის შუამდგომლობებიც, როცა მოხდა ცვლილება მხოლოდ გირაოს თანხის ნაწილში.

პროკურორის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი

- არ დაკმაყოფილდა (დატოვა აღკვეთის გარეშე)
- დაკმაყოფილდა სრულად
- დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (შეეფარდა აღკვეთის სხვა სახე)




2016-2017 წლებში, 2015 წელთან შედარებით, გაზრდილია როგორც ზოგადად აღკვეთის ღონისძიებების, ასევე პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი. აღნიშნული განპირობებულია პროკურორებისთვის რეკომენდაციების შემუშავებით და მათი მუდმივი გადამზადებით როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობაში, რამაც გაზარდა პროკურორთა შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხი.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2016 წელს პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოებმა განიხილეს 16 064 პირის, ხოლო 2017 წლის ექვს თვეში - 7253 პირის ბრალდების საქმე.


პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



2016 წელს გასამართლებული 16 064 პირიდან 62.9%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 37.1%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.


2017 წლის ექვს თვეში გასამართლებული 7253 პირიდან 71.3%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 28.7%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.

არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენები



2016 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან, 3.8%-ის მიმართ (227 პირი) სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 2.1%-ის მიმართ (127 პირი) - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. 2017 წლის ექვს თვეში არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან, 4.5%-ის მიმართ (94 პირი) სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 3.1%-ის მიმართ (65 პირი) - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.


არსებითი განხილვით გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა



გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა სხვადასხვა დანაშაულებზე. ძირითადად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა), 178-ე (ძარცვა), 180-ე (თაღლითობა), 125-ე (ცემა), 126¹ (ოჯახში ძალადობა), 187-ე (წივთის დაზიანება ან განადგურება) და 353-ე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) მუხლებზე.


წინა წლებთან შედარებით, 2016-2017 წლებში შემცირებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმა გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 47%-ის მიმართ, 2015 წელს - 44.6%-ის, ხოლო 2016-2017 წლებში - ბრალდებულთა მხოლოდ 34%-ის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი



უკანასკნელ წლებში ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების რაოდენობის კლებით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყენებული ჯარიმის ოდენობის შემცირებით. სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება არ ატარებს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მიზანს და, როგორც წესი, გამოიყენება ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის, ჩადენილი დანაშაულის და სასჯელის მიზნების გათვალისწინებით.


საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის



შემცირებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევებიც. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო

შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 33.7%-ის მიმართ, 2015 წელს - 25%-ის, 2016 წელს - 18.3%-ის, ხოლო 2017 წლის ექვს თვეში - 16.6%-ის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი




საპროცესო შეთანხმება თავისუფლების აღკვეთის მოხდის პირობით, წინა წლების მსგავსად, ძირითადად გამოყენებული იქნა მოხელეების, ოჯახური და ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი, ნასამართლევი, ნარკოტიკული საშუალების შემომტანი და გამსაღებელი პირების მიმართ, აგრეთვე, დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევებში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

2016-2017 წლებში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, პროკურატურის მიერ არაერთი ღონისძიება განხორციელდა. ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე საუბრისას, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბოლო წლებში არასრულწლოვან განრიდებულთა მაჩვენებლის ზრდა. პროგრამის ამოქმედებიდან (2010 წლიდან) დღემდე სულ განრიდებულია 1753 არასრულწლოვანი, რომელთაგან 2 განრიდდა 2010 წელს, 81 - 2011 წელს, 125 - 2012 წელს, 331 - 2013 წელს, 203 - 2014 წელს, 296 - 2015 წელს, 462 - 2016 წელს, ხოლო 253 - 2017 წლის პირველ 6

თვეში.


განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა



აღსანიშნავია, რომ 2017 წლის პირველი 6 თვის მონაცემები 43 ერთეულით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს. 2016 წლის პირველ ექვს თვეში განრიდებულ იქნა 210 არასრულწლოვანი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, თუ 2010-2015 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი აჭარბებდა განრიდების მაჩვენებელს, 2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელმა მკვეთრად გადააჭარბა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. კერძოდ, 2016 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იყო 69%, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში 67%. უნდა აღინიშნოს, რომ განრიდების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად არ მომატებულა დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანების რაოდენობა.


არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განრიდების გამოყენების მაჩვენებელი



2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 203 არასრულწლოვნის მიმართ, რომელთაგან 156 პირს (77%) ჩადენილი ჰქონდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული. აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წელს დევნადაწყებული 203 არასრულწლოვნიდან კანონით განსაზღვრულ განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა 83 მათგანი. მათ მიმართ განრიდების გამოყენებაზე უარის თქმა პროკურორების მიერ დასაბუთებულია შესაბამის დოკუმენტში და, ძირითადად, განრიდების გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზად მითითებულია არასრულწლოვანთა მიერ ძალადობრივი დანაშაულის ან/და დანაშაულთა ერთობლიობის ჩადენა. პროკურორის დასაბუთება უმეტეს შემთხვევაში გაზიარებულია სასამართლოს მიერ.


2017 წლის პირველ 6 თვეში კიდევ უფრო შემცირდა განრიდებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები. განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2014 წელს იყო 38% (78 არასრულწლოვანი), 2015 წელს - 25% (73 არასრულწლოვანი), 2016 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 16%-მდე (74 არასრულწლოვანი), ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 6%-მდე (15 არასრულწლოვანი). პროკურორთა ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს არასრულწლოვნისთვის დამატებითი სტრესის თავიდან აცილებას, რაც, როგორც წესი, თან ახლავს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, განრიდების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ. ბოლო წლებში გაზრდილია მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, 2014 წელს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდებული არასრულწლოვნების ხვედრითი წილი იყო 31%, 2015 წელს - 32%, 2016 წელს - 39%, ხოლო 2017 წლის პირველ ექვს თვეში ამ მაჩვენებელმა მიაღწია 51%-ს.

მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი



მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების ზრდის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ არ გაზრდილა არასრულწლოვანთა მიერ ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. აღნიშნული მაჩვენებლის მომატება განპირობებულია მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების გააქტიურებით.

განრიდება ძირითადად გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ. 2016 წელს განრიდებული 462 არასრულწლოვანიდან 323-ს (70%), ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში განრიდებული 253 არასრულწლოვანიდან 204 მათგანს (81%) ჩადენილი ჰქონდა სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.⁵


განრიდების აქტიურ გამოყენებასთან ერთად, საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის უფლებების დაცვა. განრიდების პროცესში იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორების აქტიური ჩართულობით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მედიაციის მაჩვენებელი მინიმუმ ორჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა 2014 წელს მედიაციის მაჩვენებელი იყო 18%.

საქართველოს პროკურატურა მუდმივად ორიენტირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით, მთავარი პროკურატურა მუდმივ რეჟიმში აწარმოებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს. ყოველ ექვს თვეში ერთხელ მზადდება სიღრმისეული ანგარიში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში არსებული დადებითი ტენდენციებისა და ხარვეზების შესახებ. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკური მაჩვენებლის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული არასრულწლოვანთა განრიდებისა და მათ მიმართ დევნის განხორციელების პროცესის მიმდინარეობის ხარისხი: ა) იშვიათია წინასასამართლო სხდომის თარიღის გაგრძელების მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობები (მაგალითად, 2016 წელს პროკურორებმა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული მხოლოდ 15 არასრულწლოვნის მიმართ მოითხოვეს წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება). აღსანიშნავია, რომ ყველა

⁵ ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ყველაზე ხშირია ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და ამ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევები.

შემთხვევაში სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა; ბ) შემცირებულია არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი და, როგორც წესი, მათი დაკავება ხდება დანაშაულზე წასწრებისას ან/და სხვა უკიდურეს შემთხვევაში; გ) არცთუ ისე ხშირია სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმის პროკურორისთვის დაბრუნების შემთხვევები, რაც პროკურორთა მხრიდან განრიდების პროგრამის დროულ და სწორ გამოყენებაზე მიუთითებს. 2016 წელს სასამართლომ განრიდების გამოსაყენებლად პროკურატურას საქმე დაუბრუნა 38 არასრულწლოვნის, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 11 არასრულწლოვნის მიმართ; დ) მაქსიმალურად უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილების მიღების დროულობა (მაგალითად, 2017 წლის 6 თვეში განრიდებულთა 73%-ზე განრიდების გადაწყვეტილება მიღებული იქნა დანაშაულის ჩადენიდან 1 თვის ვადაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, წინასასამართლო სხდომამდე პერიოდი არ გრძელდება 20 დღეზე მეტხანს).

სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმის დაბრუნების მაჩვენებელი




განრიდების პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაა. 2016 წელს განრიდებული 462 არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 5-მა მათგანმა, ხოლო ხელშეკრულების პირობები სხვაგვარად დაარღვია 13-მა არასრულწლოვანმა. განმეორებითი დანაშაულის ჩამდენი ხუთივე არასრულწლოვნის მიმართ შეწყდა განრიდების პროცესი, ხოლო ხელშეკრულების სხვაგვარად დამრღვევი 13 არასრულწლოვნიდან 12 პირს გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ვადის გაგრძელების შემდგომ,

ხელშეკრულების პირობების განმეორებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია. 2017 წლის პირველ 6 თვეში დაფიქსირდა განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 7 შემთხვევა, ხოლო განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 4-მა არასრულწლოვანმა. განმეორებითი დანაშაულის ჩამდენი ოთხივე არასრულწლოვნის მიმართ შეწყდა განრიდების პროცესი, ხოლო ხელშეკრულების სხვაგვარად დამრღვევ 7 არასრულწლოვანს გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

განრიდების პროგრამის ამოქმედებიდან (2010 წლიდან) დღემდე განრიდებული არასრულწლოვნების მხოლოდ 8%-მა ჩაიდინა ახალი დანაშაული. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ განრიდებისა და მეციაციის დროს გამოყენებული ღონისძიებები ხელს უწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციას და მას აღარ უჩნდება ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილი.


არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება აისახა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელზეც. 2016 წელს და 2017 წლის პირველ ექვს თვეში, წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების რაოდენობა. 2009 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა არასრულწლოვანთა 43.7%-ის მიმართ, 2010 წელს - 40.5%-ის, 2011 წელს - 30%-ის, 2013 წელს - 36.5%-ის, 2014 წელს - 26,4%-ის, 2015 წელს - 21,5%-ის, 2016 წელს - 11,5%-ის, ხოლო 2017 წლის პირველ ექვს თვეში - 9.7%-ის მიმართ.

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, 2009 წელს სასამართლოს მიერ პატიმრობა შეეფარდა არასრულწლოვანთა 42.6%-ს, 2010 წელს - 39.7%-ს, 2011 წელს - 24.6%-ს, 2012 წელის - 21.6%-ს, 2013 წელს - 11.1%-ს, 2014 წელს - 12.5%-ს, 2015 წელს - 9.4%-ს, 2016 წელს - 4.1%-ს, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 6.9%-ს.


პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ იმ არასრულწლოვნებს, რომლებსაც 2017 წლის პირველ 6 თვეში შეეფარდათ პატიმრობა, ძირითადად ჩადენილი ჰქონდათ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (მკვლელობა), 109-ე (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 179-ე (ყაჩაღობა) და 137-ე (გაუპატიურება) მუხლებით გათვალისწინებული ძალადობრივი დანაშაულები.

მნიშვნელოვნად არის შემცირებული არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა. 2009 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 453 არასრულწლოვნის მიმართ, 2010 წელს - 566, 2011 წელს - 575, 2013 წელს - 349, 2014 წელს - 328, 2015 წელს - 270, 2016 წელს - 127, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 95 არასრულწლოვნის მიმართ.


არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოტანილი იქნა განაჩენი



2016 წელს გასამართლებული 127 არასრულწლოვანიდან 52%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 48%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.

2017 წლის პირველ ექვს თვეში გასამართლებული 95 არასრულწლოვანიდან 68.4%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 31.6%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.

არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენები




საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენების თანაფარდობა. 2014 წელს სასამართლოს არასრულწლოვანის მიმართ

გამამართლებელი განაჩენი არ დაუდგენია, 2015 წელს გამართლებული იქნა 10, 2016 წელს - 6, ხოლო 2017 წლის პირველ ექვს თვეში - 3 არასრულწლოვანი.

2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში შემცირებულია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო 17%, 2015 წელს - 9%, 2016 წელს - 3,6%, ხოლო 2017 წლის 6 თვეში - 5.3%.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების რაოდენობის კლება გარკვეულწილად განაპირობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დამკვიდრებულმა ლიბერალურმა მიდგომებმა.⁶




2016 წლის პირველი იანვრიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოქმედება განრიდებასთან მიმართებით გავრცელდა 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც. 2016 წელს განრიდებული იქნა 18-დან 21 წლამდე ასაკის 322 პირი, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 247

⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

პირი. 2016 წელთან შედარებით, 2017 წლის 6 თვეში მომატებულია განრიდების პროცენტული მაჩვენებელი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით. 2016 წელს განრიდებულ იქნა ზემოაღნიშნული ასაკის დანაშაულის ჩამდენ პირთა 27%, ხოლო 2017 წელს 37%.

განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა

(18-დან 21 წლამდე პირები)



საქართველოს პროკურატურა უახლოეს პერიოდში გეგმავს კონფერენციის ჩატარებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩვენს მიერ მომზადებული რამდენიმე დოკუმენტი: კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კრიმინოლოგიური ანალიზი; ანგარიში არასრულწლოვან დაზარალებულთა შესახებ; დეტალური მონაცემები განრიდებული და დევნადაწყებული არასრულწლოვნების შესახებ; ასევე, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნისა და არასრულწლოვანთა შესახებ მონაცემთა შეგროვების სრულყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან. 2017 წლის ბოლომდე, საქართველოს პროკურატურის ყველაზე დატვირთულ, მინიმუმ ერთ სტრუქტურულ ერთეულში, შეიქმნება სპეციალური გარემო/ოთახი, სადაც განხორციელდება ბავშვების გამოკითხვა და მათი მონაწილეობით სხვა საგამომიებო და საპროცესო მოქმედებები.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ უწყებებთან ეფექტიანი კოორდინაცია. გაეროს ბავშვთა ფონდისა და

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მხარდაჭერით, 2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში ჩატარდა 10 რეგიონული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული პროკურორები, მოსამართლეები, სოციალური მუშაკები და მედიატორები. აღნიშნულმა შეხვედრებმა ხელი შეუწყო პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და პროფესიონალთა შორის კოორდინაციის გაზრდას. საქართველოს პროკურატურა 2017 წლის მეორე ნახევარში გეგმავს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერების მიზნით.

2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ფსიქოლოგიისა და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდის თემაზე ჩატარდა სპეციალიზაციის ორი კურსი, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 45-მა პროკურორმა და გამომძიებელმა. 2017 წლის პირველ ექვს თვეში კი აღნიშნულ თემაზე ჩატარდა ერთი ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 24 პროკურორი და გამომძიებელი.


2016 წელს და 2017 წლის პირველ ექვს თვეში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზებულ 243 პროკურორს და სტაჟიორ-პროკურორს ჩაუტარდა ტრენინგი პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა და განრიდების/მედიაციის საკითხებზე გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), ევროკავშირთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობით.

პროკურატურა, როგორც საგამომძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამომძიების დაწყება


საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამომძიებო ორგანომ, 2014 წელს გამოძიება დაიწყო 571, 2015 წელს - 855, 2016 წელს - 784, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - 387 სისხლის სამართლის საქმეზე.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2016 წელს და 2017 წლის პირველ ექვს თვეში გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) და 194-ე (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) მუხლებით.


მუხლები, რომლითაც დაიწყო გამოძიება



სისხლისსამართლებრივი დევნა


2014 წელს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 159 პირის მიმართ, 2015 წელს -161, 2016 წელს - 178, ხოლო 2017 წლის 6 თვეში -123 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი




2016 წელს და 2017 წლის პირველ ექვს თვეში, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 144³ (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა) და 194-ე (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) მუხლებით.

მუხლები, რომლებითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა



აღსანიშნავია, რომ 2016 წელს დევნადაწყებული 178 პირიდან 80 მათგანი (45%), ხოლო 2017 წლის 6 თვეში დევნადაწყებული 123 პირიდან 37 მათგანი (30%) მაღალი და საშუალო რგოლის საჯარო მოხელეა.


საჯარო მოხელეები, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა



განაჩენები


2016 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 135, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 2 პირის მიმართ. 2017 წლის პირველ 6 თვეში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 86, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 7 პირის მიმართ.

გამოტანილი განაჩენები



2014 წელს მსჯავრდებული 86 პირიდან 46 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 2015 წელს მსჯავრდებული 144 პირიდან 81 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 2016 წელს მსჯავრდებული 135 პირიდან 64 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 2017 წლის 6 თვეში მსჯავრდებული 86 პირიდან 45 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენები




საჯარო მოხელეების მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა

2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში საჯარო მოხელეთა მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ და სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 500-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან 43-ზე გამოძიება დაიწყო 2017 წლის პირველ 6 თვეში.

2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 203 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ. მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების: შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციის მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, გენერალური შტაბის უფროსის, სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილის, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის, კონტრაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიმართ.

2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში სასამართლოში განსახილველად წარიმართა სისხლის სამართლის საქმეები 197 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ, რომელთაგან 122 პირის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი (400-ზე მეტ დანაშაულებრივ ეპიზოდზე), ხოლო 9 პირის მიმართ - გამამართლებელი განაჩენი.

მუხლები, რომლებზეც გამოტანილი იქნა განაჩენი ყოფილი საჯარო მოხელეების მიმართ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე



2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ სისტემურ დანაშაულებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს 300-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სასამართლოში განიხილება 35-ზე მეტი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე 50-ზე მეტი პირის მიმართ.

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

2016 წელს გახსნილია მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 50 ფაქტი და მხილებულია 34 საჯარო მოხელე, რომელთაგან 23-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა დისკრეცია; 2 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 9 პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 91 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ 77 ავტომანქანა, 13 მიწის ნაკვეთი, ასევე სხვადასხვა დასახელების უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 21 109 167 ლარს.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება გახდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის დამატებითი მექანიზმი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2016 წელს საქართველოს პროკურატურამ 16 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, საიდანაც 6 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

2017 წლის პირველ 6 თვეში გახსნილია მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 17 ფაქტი და მხილებულია 3 საჯარო მოხელე, რომელთა მიმართ, გამოძიებასთან თანამშრომლობის გათვალისწინებით, გამოყენებული იქნა დისკრეცია. ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 44 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დაუბრუნდათ 6 ავტომანქანა, 2 თვითმფრინავი, 3 შვეულმფრენი, 6 მიწის ნაკვეთი, ასევე სხვადასხვა დასახელების უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 15 284 646 ლარს.

2017 წლის პირველ 6 თვეში საქართველოს პროკურატურამ 11 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე,

საიდანაც 5 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებში მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი იყვნენ მსჯავრდებულნი.


ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

ოჯახური დანაშაული

გასული წლების მსგავსად, პროკურატურისთვის 2017 წელსაც პრიორიტეტულია ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.


ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა მომართვიანობის მაჩვენებელი, რაც ამ დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელზეც აისახა. 2014 წელს ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 550, 2015 წელს - 1066, 2016 წელს - 1356, ხოლო 2017 წლის 6 თვეში - 719 პირის მიმართ.

ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი




პროკურატურის მიერ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. გაზრდილია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი. 2014 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულთა 14%-ის მიმართ, 2015 წელს - 26%-ის, 2016 წელს - 54%-ის, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში 79%-ის მიმართ.

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი



რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2014 წელს ოჯახური დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულების მიმართ მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი იყო 83%, 2015 წელს - 70%, 2016 წელს - 52%, ხოლო 2017 წლის პირველ ექვს თვეში - 58%.

ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი



პროკურატურის მიერ იშვიათად ხდება ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ განრიდების გამოყენება. კერძოდ, 2016 წლის განმავლობაში განრიდება გამოყენებულ იქნა ამ დანაშაულის ჩამდენი 19 პირის მიმართ (რომელთაგან შვიდი სრულწლოვანია, შვიდი არასრულწლოვანი, ხოლო ხუთი - 18-დან 21 წლამდე პირი), ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში - მხოლოდ 2 სრულწლოვანი პირის მიმართ.

ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის პრევენციისა და ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2016-2017 წლებში, „ადგილობრივი საბჭოს“ და „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტების ფარგლებში ჩატარდა მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები აჭარის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, კახეთის და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში.

2016-2017 წლებში ევროპის საბჭოს რეგიონული პროექტის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადდა სახელმძღვანელო თემაზე - „ქალთა უფლებების დაცვა და მათთვის სამართლებრივი მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. პროექტის მნიშვნელობას ზრდის ის, რომ მასში ჩართულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც ერთობლივი მუშაობის ფორმატში ერთმანეთს უცვლიან

გამოცდილებას. აღნიშნული სახელმძღვანელოს საფუძველზე შემუშავდა სასწავლო პროგრამა, რომლითაც გადამზადდა 26 პროკურორი.

მიმდინარე წელს, ორგანიზაცია „Global Rights for Women“-ის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მინესოტას შტატში გაეცნო ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამას („დულუსის მოდელი“), რომელიც შტატების მასშტაბით ამ დანაშაულთან ბრძოლის პირველ პროგრამას წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამის მიზანია ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიის დაგეგმვა ინსტიტუტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გზით. საქართველოს პროკურატურა აგრძელებს აღნიშნულ ორგანიზაციასთან და ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობას, საუკეთესო გამოცდილების გაცნობის მიზნით.

ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, 2017 წელს ვგეგმავთ უწყებათშორისი სამუშაო შეხვედრების ჩატარებას, რომელშიც საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები.


წინა წლების მსგავსად, უახლოეს მომავალში გავასაჯაროებთ პროკურატურის მიერ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში გაწეული მუშაობის ანგარიშს, კრიმინოლოგიურ კვლევას და ინფორმაციას დანაშაულის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკულ დანაშაულებზე, თითქმის ყველა წელს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. ეს განსაკუთრებით შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) და 273-ე მუხლებს (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება), რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების მიხედვით, როგორც წესი, მეორე და მესამე ადგილს იკავებენ. მაგალითად, 2016 წელს სსკ-ის 260-ე მუხლით

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2219 პირის მიმართ, რაც დევნადაწყვებული პირების 11.5%-ია, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით - 2175 პირის მიმართ, რაც დევნადაწყვებული პირების 11.3%-ია.

დევნის დაწყების მაჩვენებელი



2017 წლის დასაწყისში საქართველოს პროკურატურამ გაანალიზა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა 2014-2016 წლებში. აღნიშნულმა ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია მარიხუანას და ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების დამზადებას, წარმოებას, შექმნას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნასა და გასაღებას, ყველაზე გავრცელებულია მარიხუანას, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ბუპრენორფინის (სუბუტექსის) და ჰეროინის შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება. მარიხუანა და მისგან მიღებული სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება ადვილად ხელმისაწვდომია საქართველოში, ხოლო სხვა ნარკოტიკული საშუალებები (ჰეროინი, სუბუტექსი, კლუბური

ნარკოტიკი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები) შემოდის იმპორტის სახით სხვა ქვეყნებიდან, რის გამოც უფრო მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემომტანი და გამსაღებელი პირების მიმართ.

საქართველოს პროკურატურის ნარკოპოლიტიკა განსხვავებულია ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მიხედვით. მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოტიკების გამსაღებელი პირების მიმართ და ასევე იმ პირების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების შემოტანას და ტრანზიტით გადაზიდვას, ხოლო ლიბერალურია მიდგომა ნარკოტიკების მომხმარებელი პირების მიმართ. საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა აისახება, როგორც ბრალდებულ პირთა მიმართ გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებზე, ასევე სასჯელებზე.

ბოლო სამი წელია, სსკ-ის 260-ე მუხლით ბრალდებულთა მხოლოდ მცირე ნაწილს (პატიმრობის მაჩვენებელი არ აღემატება 20%-ს) შეეფარდა პატიმრობა. პატიმრობა, როგორც წესი, გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებისგანაც ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ან სახეზეა მათ მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.


ბოლო წლებში რადიკალურად არის შემცირებული პატიმრობის გამოყენება სსკ-ის 265-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. მაგალითად, 2017 წლის პირველ 6 თვეში, პატიმრობა შეეფარდა ამ მუხლით ბრალდებულ პირთა მხოლოდ 2%-ს.

რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლებს, სსკ-ის 273-ე მუხლით ბრალდებული პირების მიმართ აღარ ხდება პატიმრობის გამოყენება. 2017 წლის პირველ 6 თვეში, ამ დანაშაულისთვის ბრალდებული არც ერთი პირის მიმართ გამოყენებულა პატიმრობა (ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლის მიმართ პატიმრობის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 273-ე მუხლთან ერთად სახეზეა სხვა დანაშაულიც).

განსხვავებულია პროკურატურის მიდგომა სსკ-ის 262 მუხლთან (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა)


მიმართებით. სახელმწიფო ბრალდება მკაცრ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემომტანი პირების მიმართ, რომლებიც, როგორც წესი, არიან რეალიზატორები.

პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე



ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა უმეტეს ნაწილთან ფორმდება საპროცესო შეთანხმება. 2017 წლის პირველ ექვს თვეში საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ბრალდებულთა 73%-თან.


საპროცესო შეთანხმების მაჩვენებელი



რაც შეეხება, ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებულ სასჯელებს, შემცირებულია საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევები და გაზრდილია პირობითი მსჯავრის, ჯარიმისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები.⁷

⁷ 2017 წელს საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლით ბრალდებული პირების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების გაზრდა განპირობებულია იმით, რომ ბრალდებულებს 265-ე მუხლთან ერთად ბრალად წარდგენილი ჰქონდათ სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებიც.

**საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების
დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის
გამოყენების მაჩვენებელი**



ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დანაშაულს, 2016 წელს, საქართველოს მთავარი პროკურატურის ინიციატივით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, განხორციელდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების კვლევა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს 10 რეგიონში გამოიკითხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით მსჯავრდებული 1163 პრობაციონერი. საქართველოს პროკურატურის მიერ ასევე მომზადდა ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანგარიში. 2017 წლის 20 მარტს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით, გაიმართა აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც, ზემოაღნიშნული კვლევა და ანგარიში წარედგინათ საჯარო სტრუქტურებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. საჯარო პრეზენტაცია ემსახურებოდა ორ მიზანს: საზოგადოების ინფორმირებას საქართველოს პროკურატურის მიერ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ და იმ უწყებების დახმარებას, რომლებიც მუშაობენ ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ მიმართულებით პრევენციული ღონისძიებების

განხორციელებაზე. პრეზენტაციის შემდგომ, კვლევის შედეგები განთავსდა პროკურატურის ვებგვერდზე და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. საქართველოს პროკურატურამ აღნიშნული ღონისძიებით გახსნა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების პრევენციის კვირეული, რომლის ფარგლებშიც კვლევა წარედგინა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს (თბილისსა და რეგიონებში). პრევენციის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ყველა რეგიონში (30-მდე სკოლაში) პროკურორების მიერ ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების მავნე გავლენის შესახებ. ასეთივე სახის საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ბავშვთა სახლებში მზრუნველობამოკლებული აღსაზრდელების ინფორმირების მიზნით.

გარდა პრევენციის კვირეულისა, კვლევის პრეზენტაციის შემდგომ, საქართველოს პროკურატურამ თანამშრომლობა დაიწყო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურა აქტიურად ჩაერთვება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სკოლებში დაგეგმილ ანტინარკოტიკულ კამპანიაში - „ცხოვრება უკეთესია“.

დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული

როგორც წინა ანგარიშში იყო აღნიშნული, 2016 წელს პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3¹ ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე. აღნიშნულმა რეკომენდაციამ ხელი შეუწყო სიძულვილის მოტივის დასაბუთების პრაქტიკას, რის შედეგადაც, 2016 წელს სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენა გამოიკვეთა 8 სისხლის სამართლის საქმეზე (4 შემთხვევაში - სექსუალური ორიენტაციის, 1 შემთხვევაში - გენდერული იდენტობის, 3 შემთხვევაში - რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით). ამ ეტაპზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 7 პირის მიმართ. 7-ვე შემთხვევაში სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენა, სასჯელის დანიშვნისას, გათვალისწინებულია როგორც დამამძიმებელი გარემოება.

2017 წლის 6 თვის მონაცემებით, სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენა გამოიკვეთა 2 სისხლის სამართლის საქმეზე 3 პირის მიმართ (1 შემთხვევაში - სექსუალური ორიენტაციის, ხოლო 2 შემთხვევაში - გენდერული იდენტობის ნიშნით). ამ ეტაპზე 1 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის დანიშვნის დროს დამამძიმებელ გარემოებად იქნა გათვალისწინებული სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენა.

2016 წელს დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის ჩადენის ფაქტზე (სსკ-ის 142¹ მუხლით - რასობრივი დისკრიმინაცია) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 14 პირის მიმართ. ამ ეტაპზე 2 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

გაუმჯობესდა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელიც. კერძოდ, 2013 წლიდან 2017 წლის 6 თვის ჩათვლით რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 28 პირის მიმართ.

2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ (საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლით (აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო დევნა) - 13 პირის მიმართ, სსკ-ის 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) - 2 პირის მიმართ).

2017 წლის 6 თვის მონაცემებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ (საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლით (აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო დევნა)).

2017 წლის პირველ ექვს თვეში ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული HELP-ის პლატფორმის გამოყენებით დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე ტრენერთა ტრენინგში პროკურატურის 4 წარმომადგენელი იყო ჩართული. დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე კი 2017 წლის 6 თვის მონაცემებით სწავლება გაიარა 173 პროკურორმა და გამომძიებელმა. გადამზადების პროცესი, რომელიც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება, წლის ბოლომდე გაგრძელდება.

2017 წელს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან (ODIHR) თანამშრომლობით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების თემაზე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი, რომლის ფარგლებში 24 პროკურორი და გამომძიებელი გადამზადდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის პირველ ნახევარში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, ეუთოსა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ლონდონში, ვარშავასა და სტრასბურგში პროკურატურის 10 წარმომადგენლის მონაწილეობით განხორციელდა 3 სასწავლო ვიზიტი. სწავლების მიზანი იყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.

არასათანადო მოპყრობა

როგორც წინა ანგარიშში აღინიშნა, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულთა კვალიფიკაციის სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, 2016 წელს შემუშავდა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ, რომელიც 2017 წლის 10 მარტს დაეგზავნათ პროკურორებს.

2013-2017 წლების მონაცემებით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 803 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 135 პირის მიმართ.

2016 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 184 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 10 პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 144¹ მუხლით (წამება) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, სსკ-ის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) - 4 პირის მიმართ, სსკ-ის 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) - 5 პირის მიმართ;

2017 წლის 6 თვეში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 99 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 8 პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 7 თანამშრომლის მიმართ, სსკ-ის 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) - პოლიციის 1 თანამშრომლის მიმართ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა პენიტენციურ დაწესებულებაში თანამშრომელთა მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები. 2014 წელს, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ, სახალხო დამცველმა პროკურატურას მომართა 21 წინადადებით. აღნიშნული წინადადებები შეეხებოდა არა წამებას, არამედ არაადამიანურ/ღირსების შემლახავ მოპყრობას. 2015 წელს სახალხო დამცველმა პროკურატურას მომართა 4 წინადადებით, რომლებიც შეეხებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, ხოლო 2016 წელს იმავე თემაზე სახალხო დამცველმა პროკურატურას მომართა მხოლოდ 2 წინადადებით. 2017 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან, პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურაში წინადადება არ შემოსულა.

2017 წელს, ევროკავშირთან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის თემაზე ტრენინგი გაიარა 39-მა პროკურორმა და გამომძიებელმა. სწავლება შეეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და მის განმარტებებს, არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემებს, წამების აკრძალვის კომიტეტის (CPT) სტანდარტებს.

ტრეფიკინგი

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2016 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც აფასებს სახელმწიფოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით, საქართველო არის შეფასების უმაღლეს - პირველ კალათაში. დადებითი შეფასების ერთ-ერთი საფუძველია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური და კოორდინირებული საქმიანობა.

პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ ატარებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას, პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა

იდენტიფიცირება, ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობა.

2016 წელს ტრეფიკინგის კვალიფიკაციით გამოძიება დაიწყო 20 სისხლის სამართლის საქმეზე და 4 ბრალდებულის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მათ შორის, ერთ მსჯავრდებულს სასჯელის სახით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

2017 წლის 6 თვის მონაცემებით, ტრეფიკინგის კვალიფიკაციით გამოძიება დაიწყო 6 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 ტრეფიკიორის მიმართ, ხოლო 1 ბრალდებულის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2017 წელს ტრეფიკინგის თემაზე, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, გადამზადდა 38 პროკურორი, გამომძიებელი და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

ტერორიზმი

ტერორიზმი მთელი მსოფლიოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ არის გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინება. აღნიშნული პროცესები უარყოფითად აისახა კავკასიის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზეც.

ჩვენს წინაშე წარმოიშვა ტერორისტული მიზნებისთვის საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გამგზავრებისა და, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით შესაძლო გამოყენების პრობლემა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებული მუშაობის შედეგად, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, კონკრეტული პირებზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიგრაცია ისლამურ სახელმწიფოში.

ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წევრობისათვის, 2015-2016 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ, რომელთაგან 10 პირის მიმართ 2016 წელს, ხოლო 1 პირის მიმართ 2017 წელს გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს პროკურატურის აქტიური ჩართულობა ბირთვული მასალისა და რადიოაქტიური ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. 2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15, ხოლო 2017 წლის 6 თვეში - 4 პირის მიმართ, რომლებიც აპირებდნენ ბირთვული მასალის - ურანისა და ცეზიუმის რეალიზაციას. ზემოაღნიშნული 15 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 4 პირის მიმართ ამჟამად მიმდინარეობს საქმის განხილვა.

საქართველოს პროკურატურამ მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით გამართულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) სფეროში ერთობლივ უწყებათაშორის შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრების მიზანია ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება, მართვის და კონტროლის მექანიზმების დახვეწა.


ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედებებით მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი შედეგი და საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის რისკის მქონე ქვეყანათა რიცხვს.

ნაფიცო მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა

2011 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, ნაფიცო მსაჯულთა სასამართლომ განიხილა სულ 27 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 21 სისხლის სამართლის საქმე დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ან სახეზე იყო სსკ-ის 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლების ერთობლიობა.

ზემოაღნიშნული 21 სისხლის სამართლის საქმიდან, 14-ზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (სსკ-ის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 2 საქმე გადაკვალიფიცირდა შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაზე, 2 საქმეზე ბრალდებულები დამნაშავედ იქნენ ცნობილი საქართველოს სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლთან ერთად წარდგენილ სხვა ბრალდებებში, 2 საქმეზე დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 საქმეზე დადგა ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი



27 სისხლის სამართლის საქმიდან ექვსი სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს, რომელთაგან 2 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 4 საქმეზე -გამამართლებელი განაჩენი.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, 2017 წლის 1 იანვრიდან საგრძნობლად გაიზარდა იმ საქმეების რაოდენობა, რომლებსაც ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ. ამჟამად, საქართველოს სხვადასხვა საქალაქო და რაიონულ სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მიმდინარეობს 16 სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის უზრუნველყოფის სამმართველომ, რომელიც ზედამხედველობას უწევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე მიმდინარე გამოძიების პროცესს და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში, ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვირდების მიზნით, შეიმუშავა რეკომენდაცია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებზე მიმდინარე გამოძიების და სასამართლო პროცესების ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე გამოსვლის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით გადამზადდა 166 პროკურორი. საქართველოს პროკურატურის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები უზრუნველყოფს ნაფიც

მსაჯულთა წინაშე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიან მხარდაჭერას, რაც აისახება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე. მაგალითად, 2017 წლის ექვს თვეში გამართულ ორ სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი ბრალდების ყველა ნაწილში ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი ვერდიქტი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სკოლის მოსწავლეებთან და უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართულ შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ.

პროკურორთა შეფასების სისტემა

2016 წლის ბოლოს საქართველოს პროკურატურაში გაიწერა პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათმორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, დამტკიცებამდე წარედგინა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

უწყებათმორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებების დიდი ნაწილის მხედველობაში მიღების შემდგომ, საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა აღნიშნული კრიტერიუმები.

პროკურორთა შეფასება განხორციელდება როგორც საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის, ასევე, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგებისა და სხვა აქტივობების მიხედვით. შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება პროკურორთა დაწინაურების, წახალისებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას. შეფასების აღნიშნული სისტემა მინიმუმამდე დაიყვანს პროკურორთა სუბიექტური შეფასების რისკებს, აამაღლებს პროკურორების

მოტივაციას, უზრუნველყოფს პროკურორის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებას და გაზრდის თითოეული პროკურორის დამოუკიდებლობას.

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით:

- ✓ საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემუშავდა რეკომენდაცია პროკურორის დადგენილების საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ. რეკომენდაცია მიზნად ისახავს 2016 წლის 12 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების ხარვეზების გარეშე იმპლემენტაციასა და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ✓ 2017 წელს მომზადდა რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ. რეკომენდაციის მიზანია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას პროკურორთა მიერ გასათვალისწინებელ საკითხებთან და გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევებში პროკურორების მიერ გირაოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შეტანის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება;
- ✓ 2017 წელს ასევე შემუშავებული იქნა რეკომენდაცია განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესახებ. რეკომენდაცია მიზნად ისახავს ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსწორებასა და პროკურორთა მიერ შედგენილი საკასაციო საჩივრების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლებას;
- ✓ ამჟამად, ევროსაბჭოს მხარდაჭერით, მიმდინარეობს მუშაობა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხება დაზარალებულთა უფლებებს. რეკომენდაციის მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაზარალებულის უფლებების მაქსიმალურად ეფექტიანი განხორციელებისა და ამ მიმართულებით ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. რეკომენდაციის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა;

- ✓ საქართველოს პროკურატურის მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ყველა ის გადაწყვეტილება, რომლებიც შეეხება საქართველოს პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო ორგანოების საქმიანობას. გადაწყვეტილებათა შესახებ მომზადდა სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პროკურორებს და სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რათა მათი საქმიანობა იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში პროკურატურას საექსპერტო დახმარებას უწევს ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ადამიანის უფლებათა ექსპერტი. სახელმძღვანელოს დაბეჭდვის შემდგომ პროკურორებისთვის შემუშავდება ტრენინგ მოდული;
- ✓ ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის დახმარებით, 2017 წლის სექტემბრისთვის დაიბეჭდება გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დეტალური წესები. აღნიშნული სახელმძღვანელოს საფუძველზე, პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის შემუშავდება ტრენინგ მოდული, რაც ხელს შეუწყობს გამოძიების ხარისხის ამაღლებას;
- ✓ 2016 წლის მარტიდან, კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ პირდაპირ დაიწყო მულტინაციონალური ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებისგან გამოძიებისთვის საჭირო ელექტრონული მონაცემების მიღება. დღეისათვის, კომპანიებისგან მონაცემების მიღებას მხოლოდ რამდენიმე დღე სჭირდება, მაშინ, როცა სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი დახმარების პროცედურა რამდენიმე თვე გრძელდებოდა. მსგავსი თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება „Facebook“-თან და „Apple“-თან. აღნიშნულის პარალელურად, პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის მომზადდა მულტინაციონალური ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო, რაც ხელს უწყობს ახალი გზით საჭირო მონაცემების მიღებას. „Facebook“-ის მიერ სახელმწიფოების თხოვნების დაკმაყოფილების

მონაცემებით, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. 2016 წლის განმავლობაში საქართველოს პროკურატურიდან „Facebook“-ში გაიგზავნა 17 თხოვნა 64 მომხმარებელზე, რომელთაგან 14 (80%-ზე მეტი) დაკმაყოფილდა. 2017 წლის 6 თვეში „Facebook“-ში გაგზავნილია 5 თხოვნა 6 მომხმარებელზე. კომპანიამ დააკმაყოფილა 5-ვე თხოვნა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს 80%-ზე მაღალი დაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 15-მდე სახელმწიფოს ჰქონდა (ქვეყნების უმრავლესობის თხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო). საქართველოს პროკურატურა კვლავ აგრძელებს მუშაობას სხვა უცხოურ კომპანიებთან მსგავსი ტიპის თანამშრომლობის გასაფართოებლად;

- ✓ 2017 წლის პირველ ექვს თვეში საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა 87 სასწავლო აქტივობა, რომლებშიც 1200 მსმენელი იყო ჩართული. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: სასამართლო უნარ-ჩვევები; სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან კომუნიკაცია; სიცოცხლის უფლების დაცვა; შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; სამართლებრივი წერა; ეფექტიანი საჯარო გამოსვლა, კომუნიკაცია და მედიასთან ურთიერთობა; ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიება; კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ელექტრონული მტკიცებულებები; საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა; კორუფციული დანაშაულები და სხვა.
- ✓ 2017 წლის 26-28 ივნისს, საქართველოს პროკურატურაში პირველად ჩატარდა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-8 რეგიონული კონფერენცია თემაზე „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნება და კიბერდანაშაული“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებმა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 25 ქვეყნის პროკურატურის ხელმძღვანელმა პირებმა. კონფერენციაზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისა და კიბერდანაშაულის თემებზე პრეზენტაციები წარმოადგინეს ევროპელმა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტებმა.

კვლევები

საქართველოს პროკურატურა ამჟამად მუშაობს რამდენიმე მნიშვნელოვან კვლევაზე.

ერთ-ერთი მათგანი შეეხება ყოფილ პატიმართა მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევას, რომლის მიზანია დანაშაულის პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების გაძლიერება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა. საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ კვლევას ახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობით ევროსაბჭოს მხარდაჭერით. კვლევაში ჩართულნი არიან ქართველი და ბრიტანელი ექსპერტები.

მეორე კვლევას (კვლევა განმეორებითი დანაშაულის შესახებ) საქართველოს პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ახორციელებს. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გაანალიზებული იქნება 2013 წლიდან დღემდე ნასამართლავი პირების შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემები. კვლევის შედეგები დაგეგმარება პრევენციული თუ სხვა სახის ღონისძიებების სწორად დაგეგმვაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევა საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა.

ასევე, ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით, ხორციელდება პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის კომუნიკაციის პროცესის კვლევა, რომლის მიზანია იმ ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის და აჭიანურებს გამოძიების მიმდინარეობის პროცესს.

საქართველოს პროკურატურა ასევე გეგმავს პროკურატურისადმი საზოგადოების დამოკიდებულების კვლევის ჩატარებას. აღნიშნული კვლევის ფარგლებში საქართველოს პროკურატურა თანამშრომლობს ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტთან.

გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები

მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ 2016 წელს ჩატარებული იქნა 64 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 126 მუშაკის მიმართ.

შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 28 თანამშრომელს (შენიშვნა გამოეცხადა 17 თანამშრომელს, საყვედური - 7 პირს, ხოლო პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი იქნა 4 თანამშრომელი). სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაცია გაეგზავნა 62 თანამშრომელს, ხოლო 12 თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, პირადი განცხადების საფუძველზე იქნა გათავისუფლებული პროკურატურის სისტემიდან.

2016 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 6 პირის (სსკ-ის 342-ე მუხლით - 2 ნოტარიუსის, 342-ე და 376-ე მუხლებით - 1 ნოტარიუსის, 180-ე მუხლით - 1 მოქალაქის, 373-ე მუხლით - 2 მოქალაქის) მიმართ. აღნიშნული დევნადაწყებული 6 პირიდან 3 პირის მიმართ გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებული იქნა 1 პირი (სსკ-ის 373-ე მუხლით).

2016 წელს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 8 პირის (3 ადვოკატის, 1 მოქალაქის, 1 პროკურატურის მრჩევლის, 1 ყოფილი პროკურორის, 1 საჯარო რეესტრის თანამშრომლის, 1 ნოტარიუსის) მიმართ.

პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, 2016 წელს საქართველოს პროკურატურის 214-მა თანამშრომელმა პროფესიული ეთიკის სტანდარტებისა და ინტერესთა კონფლიქტის თემაზე გაიარა ტრენინგი, რომლის ფარგლებში განხილული იქნა ეთიკის კოდექსის დარღვევის პრაქტიკული მაგალითები.

2017 წლის პირველ 6 თვეში ჩატარებული იქნა 33 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 55 მუშაკის მიმართ. შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 9 თანამშრომელს (შენიშვნა გამოეცხადა 5 თანამშრომელს, საყვედური - 3-ს, პროკურატურის

სისტემიდან დათხოვნილი იქნა 1 თანამშრომელი). სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაცია გაეგზავნა 8 თანამშრომელს; 5 თანამშრომელი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში პირადი განცხადების საფუძველზე იქნა გათავისუფლებული პროკურატურის სისტემიდან; 2 თანამშრომელი გადაყვანილი იქნა უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე.

2017 წლის პირველ 6 თვეში საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 9 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 1 მოქალაქის მიმართ სსკ-ის 180-ე მუხლით.

2017 წლის პირველ 6 თვეში სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 11 პირის (9 მოქალაქისა და 2 ნოტარიუსის) მიმართ.

ეთიკის კოდექსი

პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველების განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის ინიციატივით, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, შეიმუშავა პროკურატურის მუშაკთა ქცევის მარეგულირებელი ეთიკის ახალი კოდექსის პროექტი, რომელშიც მაქსიმალურად დეტალურად აისახა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი. აღნიშნული კოდექსი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა 2017 წლის 25 მაისს.

პროკურატურის მუშაკის ეთიკის კოდექსის ახალ პროექტს მის დამტკიცებამდე გაეცნენ პროკურატურის თანამშრომლები, რომელთა აზრი მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. პროექტი მოსაზრებებისთვის ასევე წარედგინა საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტს და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ექსპერტებს.

ეთიკის ახალი კოდექსი დისციპლინურ გადაცდომებს ყოფს მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით და აკონკრეტებს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს კონკრეტული დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაწყებულია მუშაობა პროკურატურის მუშაკთა ეთიკის ახალი კოდექსის კომენტარების შექმნასთან დაკავშირებით, რაც მის შინაარსს კიდევ უფრო დახვეწს და განჭვრეტადს გახდის.

საკონსულტაციო საბჭო

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურაში შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განიხილავს პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

2016 წელს საკონსულტაციო საბჭოს გენერალური ინსპექციის მიერ წარედგინა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა პროკურატურის 43 მუშაკის მიმართ. საკონსულტაციო საბჭომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ 24 მათგანის მიმართ.

2016 წელს საკონსულტაციო საბჭომ განიხილა პროკურატურის 225 მუშაკის წახალისების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 73 მათგანის წახალისება.

2016 წელს საკონსულტაციო საბჭომ განიხილა 32 მუშაკის საშუალო მენეჯერულ პოზიციაზე დაწინაურების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 17 მათგანის დაწინაურება.

2017 წელს საკონსულტაციო საბჭოს გენერალური ინსპექციის მიერ წარედგინა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა პროკურატურის 17 მუშაკის მიმართ. საკონსულტაციო საბჭომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეწონილად მიიჩნია 10 მათგანის მიმართ, 3 მუშაკს მისცა რეკომენდაცია, ხოლო 4 მუშაკის მიმართ წარდგენილი დასკვნები ამ ეტაპზე განხილული არ არის.

2017 წელს საკონსულტაციო საბჭომ განიხილა 74 მუშაკის წახალისების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 35 მათგანის წახალისება.

2017 წელს საკონსულტაციო საბჭომ განიხილა საშუალო მენეჯერულ პოზიციაზე 26 მუშაკის დაწინაურების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 5 მათგანის დაწინაურება.

საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ გაითვალისწინა საკონსულტაციო საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

პროკურატურის ადამიანური რესურსები

დღეის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობს სულ 860 თანამშრომელი, მათ შორის - 328 ქალი. 860 თანამშრომლიდან 434 არის პროკურორი (მათ შორის 125 ქალი), 91 გამომძიებელი (მათ შორის 7 ქალი), 58 სტაჟიორ-პროკურორი (მათ შორის 31 ქალი) და 277 სხვა მუშაკი (მათ შორის 165 ქალი).

მენეჯერულ პოზიციას იკავებს 115 მუშაკი, მათ შორის 17 არის ქალი. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი 17 ქალიდან 4 არის დეპარტამენტის უფროსი, 1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 10 სამმართველოს უფროსი და 2 რაიონული პროკურორის მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ დღეს მომუშავე 434 პროკურორიდან 231, ხოლო 93 გამომძიებლიდან 43 ყოფილი სტაჟიორია.


2017 წლის 15 მაისს საქართველოს პროკურატურამ გამოაცხადა სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი. კონკურსზე განაცხადი შემოიტანა 1315 პირმა, რომელთაგან 173-მა წარმატებით გაიარა კონკურსის ორი ეტაპი (ტესტირება სპეციალობაში და ტესტირება ზოგად უნარებში).

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საჯარო ინფორმაციის გაცემა

2016 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურაში სულ შემოვიდა 331 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 170, არ დაკმაყოფილდა 80, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 47, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გადაეგზავნა 10, განუხილველად იქნა დატოვებული 4, ხოლო 20 მათგანზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.


რეაგირება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე (2016 წელი)



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა 6 შემთხვევაში (საჩივარი დაკმაყოფილდა 2 შემთხვევაში, საჩივარი არ დაკმაყოფილდა 2 შემთხვევაში, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1 შემთხვევაში, ხოლო 1 შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად). საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი სასამართლოში გასაჩივრდა 5 შემთხვევაში (1 სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 4 მათგანზე მიმდინარეობს საქმის განხილვა).

2017 წლის პირველ 6 თვეში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურაში სულ შემოვიდა 163 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 89, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 33, არ დაკმაყოფილდა 32, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გადაეგზავნა 2, ხოლო 7 მათგანზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

რეაგირება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნებზე (2017 წლის 6 თვე)



საქართველოს პროკურატურამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი თქვა იმ შემთხვევებში, როცა დაინტერესებული პირის მოთხოვნა დაკავშირებული იყო სისხლის სამართლის საქმის მასალების ან/და პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებასთან. რიგ შემთხვევებში კი მოთხოვნილი იყო ისეთი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც საქართველოს პროკურატურის მიერ არ იწარმოება. განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2017 წელს არ გამოვლენილა.

მოქალაქეთა მიღების ელექტრონული პროგრამა

საქართველოს პროკურატურა ღიაა საზოგადოების თითოეული წევრისთვის და მზად არის მოუსმინოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი პრობლემის მოგვარება პროკურატურის კომპეტენციაა.

მოქალაქესა და პროკურორს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის წარმართვის უზრუნველსაყოფად, 2016 წელს შეიქმნა მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა, რომელიც იძლევა შეხვედრების ეფექტური ორგანიზების შესაძლებლობას.

მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამის ჩართვიდან დღემდე პროკურორთა მიერ განხორციელდა 271 შეხვედრა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, საქართველოს პროკურატურა მუდმივად ზრუნავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის განვითარებაზე. შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო, რომლის თანახმად, პროკურორი კოორდინატორს აქტიურად ჩართავს

ტრეფიკინგის, ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობისა და არასრულწლოვან დაზარალებულებთან კომუნიკაციის პროცესში.

2016 წელს და 2017 წლის დასაწყისში, კოორდინატორთა პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა ორი სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ერთი ვიზიტი ხორვატიის რესპუბლიკაში სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით. დაგეგმილია ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.

ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები და ბროშურები.

კოორდინატორების მონაწილეობით დაგეგმილია საზოგადოებრივი ღონისძიებები, რომლებიც ძალადობრივი დანაშაულის პრევენციასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ასევე, დაგეგმილია თანამშრომლობის გაღრმავება სერვისის მომწოდებელ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 13683-მა მოქალაქემ.

პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“

საქართველოს პროკურატურა ახორციელებს პროექტს „საზოგადოებრივი პროკურატურა“, რომლის მიზანია დანაშაულის პრევენცია, საზოგადოების ცნობიერების ღონის ამაღლება, საზოგადოების წინაშე საქართველოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების გაზრდა და პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.


პროექტის სამიზნე ჯგუფები არიან სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა, პრობაციონერები და კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები.

2016 წელს „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა 178 ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 6166-მა პირმა.

2017 წლის პირველ 6 თვეში ჩატარდა 260 ღონისძიება, მათ შორის 102 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 33 კულტურულ-საგანმანათლებლო, 15 სოციალური და 8 სპორტული ღონისძიება. ასევე, სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 102 ღონისძიება. 2017 წელს ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 15 940 პირმა.

2017 წლის აპრილში პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში დაიწყო სატრანსპორტო დანაშაულების წინააღმდეგ კამპანია, რომლის ფარგლებში ჩატარდა 81 პრევენციული ღონისძიება.

სატრანსპორტო დანაშაულების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული კამპანია



პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის პრევენციის და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით, საჯარო სკოლებში გამოცხადდა ვიდეო რგოლების კონკურსი „მოზარდები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 307-მა საჯარო სკოლამ და 2279-მა მოსწავლემ.

2017 წლის ბოლომდე იგეგმება „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის დანერგვა საქართველოს მასშტაბით.

ადგილობრივი საბჭო

როგორც მოგეხსენებათ, 2016 წელს საქართველოს პროკურატურამ დაიწყო ადგილობრივი საბჭოს პროექტის განხორციელება.

2016 წელს ადგილობრივი საბჭოს პროექტის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს ყველა რეგიონში. დღეის მდგომარეობით, ადგილობრივი საბჭოს სხდომა ჩატარებულია 14 ადგილობრივ ერთეულში: ბათუმში, ხელვაჩაურში, ოზურგეთში, ზუგდიდში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, თელავში, ახალციხეში, ახალქალაქში, გურჯაანში, გორში, ქუთაისსა და მცხეთაში. ადგილობრივი საბჭოს პროექტის ფარგლებში, სხდომის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საბჭოს ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების შესახებ. ასევე, წარედგინათ მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული კვლევები ოჯახში ძალადობასთან და სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლთან (16 წელს მიულწეველ პირთან სქესობრივი კავშირი) დაკავშირებით. პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით, საბჭოს წევრებმა წარმოადგინეს საინტერესო მოსაზრებები და ინიციატივები. უახლოეს მომავალში იგეგმება ადგილობრივი საბჭოს პროექტის პრეზენტაცია ქ.თბილისში.

ბრიფინგები და განცხადებები

2016 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნდა 229 განცხადება და ჩატარდა 13 ბრიფინგი, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში გამოქვეყნდა 161 განცხადება და ჩატარდა 6 ბრიფინგი.

წიგნი „პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“

პროკურატურისა და ზოგადად სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერასთან დაკავშირებული ინსტიტუტების შესახებ დღემდე არ არსებობდა ერთიანი კვლევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთავარი პროკურატურის ინიციატივით დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. დღეისათვის უკვე გამოცემულია ნაშრომის პირველი ნარკვევი - „პროკურატურის ისტორიისათვის

საქართველოში“, რომელიც მოიცავს VI-XVIII საუკუნეების სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ისტორიას.

მოდებულა მდიდარი საარქივო და სამეცნიერო ლიტერატურა ნაშრომის მეორე ნაწილის გამოსაცემად, რომელშიც ასახული იქნება ქართველი პროკურორებისა და გამომძიებლების პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორც XIX საუკუნეში, ასევე XX საუკუნის პირველ მეოთხედში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 1918-1921 წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში უწყების პირველი სტრუქტურული ერთეულების და სამხედრო პროკურატურების შექმნისა და საქმიანობის საკითხებს. წიგნის მეორე ნაწილის გამოცემა იგეგმება 2018 წლისთვის და ის მიეძღვნება პირველი ქართული პროკურატურის შექმნის 100 წლისთავს.

სამომავლო გეგმები

როგორც უკვე აღინიშნა, 2017 წელს დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. შემუშავებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2017 წელს საქართველოს პროკურატურა გეგმავს:

- ✓ კოლეგიური ორგანოების როლის კიდევ უფრო გაზრდას;
- ✓ თანამშრომელთა შერჩევის, დაწინაურებისა და როტაციის კრიტერიუმების და პროცედურების დახვეწას;
- ✓ ტრეფიკინგის, კორუფციული დანაშაულების, ტერორიზმის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით შესაბამის უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციის გაზრდას, ამ დანაშაულებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და თანამშრომელთა გადამზადებას;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ოჯახში ძალადობის თემაზე საზოგადოებასთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას, ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული პროკურორების გამოყოფას/გადამზადებას, ოჯახში ძალადობის საკითხებზე კონფერენციის ჩატარებას და არსებული რეკომენდაციების განახლებას;

- ✓ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით პროკურორების/გამომძიებლების გადამზადებას და პენიტენციურ დაწესებულებაში პერმანენტული ვიზიტების გაგრძელებას;
- ✓ დისკრიმინაციული ნიშნითა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით პროკურორების გადამზადებას, რეკომენდაციების შემუშავებასა და მათ მონიტორინგს, სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებას;
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირებს შორის ადგილობრივ დონეზე საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებას, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნას მინიმუმ ერთ სტრუქტურულ ერთეულში და სპეციალიზებულ პროკურორთა კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებას;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის დახვეწის მიზნით, სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ტრადიციული ფორმების გვერდის ავლით მტკიცებულებების მოპოვების შესახებ სახელმძღვანელოს შემუშავებას, საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებას, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის შექმნას, მოლაპარაკებებს (მინიმუმ 3 სახელმწიფოსთან) თანამშრომლობის შესახებ შუამდგომლობების ელექტრონული გადაცემის სისტემების დანერგვის მიზნით;
- ✓ პროკურორთა შეფასების სისტემის პირველი ანგარიშის მომზადებას;
- ✓ გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს დაბეჭდვასა და მის პრაქტიკაში დანერგვას;
- ✓ პროკურატურის ვებგვერდის მოდერნიზაციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას;
- ✓ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის კიდევ უფრო განვითარებას;
- ✓ ყველა სტრუქტურულ ერთეულში მოქალაქეებთან კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამის დანერგვას;
- ✓ ადგილობრივი საბჭოებისა და საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ღონისძიებების ჩატარებას;

- ✓ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი სასწავლო მოდულების დანერგვას;
- ✓ პროკურორთა რანგირების სისტემის რეფორმაზე მუშაობის დაწყებას.

აღნიშნული გახლავთ საქართველოს პროკურატურის ძირითადი სამომავლო გეგმები. 2017 წელს განსახორციელებები ღონისძიებები დეტალურად გაწერილია საქართველოს პროკურატურის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

საქართველოს მთავარი პროკურორი

ირაკლი შოთაძე